საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აიეტი

აიეტი (ბერძნ. Aiētēs), ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი, ჰელიოსისა და ოკეანეს ასულის პერსეს ძე, კირკეს, პასიფაესა და პერსესის ძმა, აიას, ანუ კოლხეთის მეფე, არგონავტთა თქმულების ერთ-ერთი პერსონაჟი.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით (ევმელოს კორინთელი) ა. ჰელიოსს ანტიოპესაგან შეეძინა. ა-ს ალოევსთან ერთად მამისაგან ეფირის მხარე რგებია, რ-იც შემდეგ ბუნოსისათვის დაუტოვებია, ვიდრე იქ ვინმე მისიანი მიბრუნდებოდა, თავად კი აია-კოლხეთში წასულა. ა-ის ცოლებისა და შვილების თაობაზე მითოლ. ტრადიციაში ერთიანობა არ არის. აპოლონიოს როდოსელის (III, 242...) მიხედვით კავკასიელ ნიმფის ასტეროდეასაგან მას ვაჟიშვილი აფსირტე შესძენია, ხოლო მეორე ცოლის ოკეანეს ასულ იდიიასაგან – ქალიშვილები ქალკიოპე და მედეა, ა-ის ცოლებად ასახელებენ აგრეთვე ევრილიტეს („ნავპაკტიკა“), ჰეკატეს (დიოდორე სიცილიელი IV, 45; იგი ჯადოქარ კირკესაც ა-ის ქალიშვილად მოიხსენიებს). ანტ. ლიტ-რაში სასტიკი და შეუვალი მეფის სიმბოლოს წარმოადგენს. სახელის ეტიმოლოგია ჩვეულებრივ აიადან გამოჰყავთ (აიას მკვიდრი, მოქალაქე). ამ შემთხვევაში სიტყვის ტეს-ით წარმოება ბერძნ. გაფორმებაზე მიუთითებს. ყურადღებას იქცევს ანტ. ცნობები, რომ ა-ის სახელი კოლხებში გავრცელებული ყოფილა კლასიკურსა და შემდგომ ეპოქაშიც.

რ. გორდეზიანი